



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 9 „ 10 „ 10 2019⁶

დადგენილება № 48

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების ამოქმედების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის #51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდეს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები.
2. აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე სასწავლო პროცესი გაგრძელდეს 2020 წლის 30 ივლისამდე.
3. აბიტურიენტები მომზადდნენ შემდეგ საგნებში:
 - ქართული ენა და ლიტერატურა;
 - მათემატიკა;
 - უცხოური ენა (ინგლისური);
 - ისტორია;
4. მეცადინეობები ჩატარდეს კვირაში ორჯერ, ორი საათის ხანგრძლივობით სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში;
5. თითოეული საგნის სწავლის საფასური განისაზღვროს თვეში 25 (ოცახუთი) ლარის ოდენობით, გადახდა განხორციელდეს ყოველთვიურად.
6. პროფესორ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება განისაზღვროს საათობრივი წესით - ერთი აკადემიური საათი (საკონტაქტო) 12,50 (თორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარი.
7. განახევრდეს მოსამზადებელ კურსებზე სწავლის საფასური ერთი ოჯახიდან ორზე მეტი აბიტურიენტის სწავლის შემთხვევაში, ასევე მრავალშვილიანი ოჯახებისთვის (მრავალშვილიანი არის ოჯახი, რომელსაც ჰყავს ოთხი ან მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი ან/და ნაშვილები).
8. სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახების აბიტურიენტები გათავისუფლდნენ სწავლის საფასურის გადახდისაგან.
9. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით დაბჭოს.
10. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

11. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.
12. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზალიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი



მაკა ბერიძე